კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები მათ კარიერულ (მათ, შორის, დასაქმების მაჩვენებელი მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად) და აკადემიურ განვითარებასთან დაკავშირებით

კურსდამთავრებულთა თვისებრივი კვლევიდან იკვეთება მათი კმაყოფილება საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში შეძენილი ცოდნით, კომპეტენციებითა და უნარ-ჩვევებით.

კურსდამთავრებულები ერთხმად აღნიშნავენ, რომ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები და პროგრამაში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები სრულად უზრუნველყოფს სტუდენტების ცოდნით და სათანადო პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვას და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო პროგრამების როგორც თეორიულმა, ასევე პრაქტიკულმა კომპონენტებმა რესპონდნტების მხრიდან მაღალი შეფასება მიიღო. კურსდამთავრებულების აზრით, სდასუ-ს პრესტიჟულობას განაპირობებს უნივერსიტეტის მხრიდან სტუდენტებისთვის პროფესიული ორიენტაციისა და დასაქმების საკითხებზე მუდმივი კონსულტირება, სტუდენტების მონაცემთა გადაგზავნის უზრუნველყოფა კონკრეტულ ვაკანსიებზე, ასევე მათთვის სტაჟირებისა თუ დასაქმების სხვა შესაძლებლობების მოძიება შრომის ბაზარზე არსებული ვაკანსიების ფარგლებში.

იმისთვის, რომ სდასუ-ში მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევები აღმოჩნდეს კიდევ უფრო კონკურენტუნარიანი დასაქმების ბაზარზე რეკომენდებულია მოხდეს სპეციალობების მიხედვით პროფესიული პროგრამული უზრუნველყოფის საჭიროებების განსაზღვრა/დანერგვა ან უფრო სიღრმისეული შესწავლა და ა.შ.